სტატი თოდორიან ბრისაძე ფონდი

3 151

Фонд 287 1 151

Фонд 287 1 151

ГОСУДАРСТВЕННОЕ ХРАНИЛИЩЕ

დასკანირებულია 16.01.2021 20

13.

ღვაწლის დაფასება

6 ივნისს, 93-ე აუდიტორიაში ჩატარდა ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა, მიძღვნილი ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების გაერთიანებული კათედრის გამგის, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, სამამულო ომისა და შრომის ვეტერანის, პროფესორ აკაკი სარდიონის ძე თოფურიას დაბადების სამოცდაათი და სამეცნიერო-პედაგოგიური და ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავისადმი.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ბესიკ ჯორბენაძემ, რომელმაც სიტყვა მისცა პროფ. აკ. თოფურიას სალიტერატურო ენის ნორმების დაცვის საკითხზე თავის შეხედულებათა გასაზიარებლად.

მოხსენება თემაზე — „პროფესორ აკაკი თოფურიას ცხოვრება და მოღვაწეობა“ წაიკითხა კათედრის დოცენტმა იზოლდა ქაფიაშვილმა. პროფესორ აკაკი თოფურიას მიესალმნენ თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგე, პროფესორი ალექსანდრე ღლონტი, უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი პროკლე კეკელიძე, უნივერსიტეტის ომის ვეტერანთა საბჭოს სახელით, პროფესორი აკაკი ირემაძე, კათედრასთან არსებული ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მუდმივმოქმედი საქალაქო სემინარის მონაწილეთა სახელით თბილისის პირველი საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ეთერ ტაბიძე, აფხაზეთის უნივერსიტეტის სახელით მწერალი ევგენი აქუბარდია, პედაგოგიკის კათედრის და პედაგოგიური საზოგადოების სახელით ამავე კათედრის გამგე, დოცენტი ჯონდო ბერიშვილი, პოეტი თეიმურაზ ჯანგულაშვილი, სტუდენტი-ახალგაზრდობის სახელით ფილოლოგიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი კახაბერ ლორია.

ომის ვეტერანთა თბილისის სექციის თავმჯდომარემ, გენერალ-მაიორმა ნიკოლოზ თავართქილაძემ მისალმებასთან ერთად აკაკი თოფურიას გადასცა ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტის სიგელი დაბადების 70 წელთან დაკავშირებით, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილების გამგემ გივი მელიქიშვილმა წაიკითხა მინისტრის ბრძანება პროფ. აკ. თოფურიას სამინისტროს სიგელით დაჯილდოების თაობაზე და გადასცა აღნიშნული სიგელი.

„თბილისის უნივერსიტეტი“. 20 ივნისი, 1986 წელი

[illegible] ტრაგედიაა და ჩვენიც საზოგადოდ.

ვფიქრობ, ნარკომანობაც, ისევე როგორც ყოველივე უცხოურის წინაშე ქედმოხრა, ამ თვითუარყოფის უკიდურესი გამოვლინებაა. იგი ამ ადამიანთა სულიერი სიცარიელის მაჩვენებელია, თუმცა ზოგიერთ მათგანს პირიქით შეიძლება ეჩვენებოდეს. ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც უარყვეს ყოველგვარი მოვალეობა ყველასა და ყველაფრის წინაშე. მათ დაივიწყეს ეროვნულ-კულტურული ფასეულობანი, ადამიანური ჰუმანიზმი, მოვალეობა მშობლების, შვილების, ახლობლების, საზოგადოების წინაშე და წმინდა ეგოისტურ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს დაემორჩილნენ. ისინი ნებით თუ უნებლიედ ჩვენი ქვეყნის, საზოგადოების, ხალხის მტრებად იქცნენ და თუ არ გამოსწორდებიან, მათ ისე უნდა მოექცე, როგორც [illegible] სჯერა თავისი მასწავლებლისა, არ ერწმუნება იმ სულიერ ღირებულებებს, რომელსაც იგი ქადაგებს. ამიტომ ახალგაზრდობასთან სიახლოვე მთავარი გზაა ყოველგვარი აღმზრდელობითი პრობლემის გადაწყვეტისა. უნივერსიტეტში რამდენიმე ათასი თანამშრომელია. თუ არ ვცდები, თითოეულ თანამშრომელზე დაახლოებით ოთხი სტუდენტი მოდის. თუ ყოველი თანამშრომელი ღირსეულად შეასრულებს თავის მოვალეობას, ეს უკვე ბევრ რამეს ნიშნავს, ბევრ რამეს ისწავლის მისგან ახალგაზრდობა. უნივერსიტეტი მეცნიერების, კულტურისა და აღზრდის დაწესებულებაა და მისმა ყოველმა მუშაკმა კარგად უნდა იცოდეს ეს.

უნივერსიტეტმა ეროვნულ-კულტურული სიამაყის გრძნობასთან ერთად უაღრესად დახვეწილი გემოვნებაც უნდა განუვითაროს ახალგაზრდებს. დასამალი არაა, ჩვენს [illegible] ეზია. ასეა, რადგანაც საქართველოში ყველამ კარგად იცის ანდაზა: „თვალი ჭამს და თვალი სვამსო...“

ფილმი გვაფიქრებინებს და გვეუბნება, რომ ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილში ჭეშმარიტ ადამიანურ ღირებულებებს სუროგატული ფასეულობანი ცვლის. უნივერსიტეტელთა მოვალეობაა ღრმად ჩასწვდეს ჩვენთვის უცხო ამ მოვლენას, იბრძოლოს მის წინააღმდეგ არა მარტო საკუთრივ მის კედლებში, არამედ მის გარეთაც, ეს ჩვენი ვალია და მოქალაქეობრივი ტვირთიც.

რევაზ სურგულაძე,

ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

რედაქტორი გივი შეყილაძე

380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 1, თსუ, კორპ. I ტელეფონები 22-10-34, 22-95-49, 5-49.

ტის სტამბა, 380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 1. შეკ. 944, უე 08450